პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 22 (18264) ხუთშაბათი, 28 იანვარი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის გახსნის შესახებ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აუწყებს რესპუბლიკის პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატებს, რომ ყრილობა გაიხსნება დღეს, 28 იანვარს დილის 10 საათზე პროფკავშირთა კულტურის სასახლეში.

მეჩვიდმეტე პროფკავშირული

დღეს მუშაობას იწყებს რესპუბლიკის პროფკავშირთა მორიგი, მეჩვიდმეტე ყრილობა. საქართველოს ყველა კუთხიდან, ქალაქებიდან და სოფლებიდან მოვიდნენ აქ დელეგატები — მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეები, მოსამსახურეები. მოვიდნენ ისინი და თან მოიტანეს თავიანთი შრომითი კოლექტივების ფიქრები, მისწრაფებანი და განწყობილება.

დღევანდელი მეჩვიდმეტე პროფკავშირული ყრილობის მუშაობის დრო დაემთხვა დამკვრელური, შემოქმედებითი შრომის დაძაბულ დღეებს. ისევე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, საქართველოს მშრომელებიც გულმოდგინედ ემზადებიან, რომ ღირსეულად აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი. ამის საუკეთესო დასტურია ფართო მხარდაჭერა და მახობრივი მონაწილეობა იმ დიდ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში, რომელიც მიმდინარეობს დევიზით — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური შრომის კვირა“. ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციები ამ შეჯიბრების სული და გული არიან, უვითარებენ მშრომელებს შემოქმედებითს აქტიურობას, დათქმული სიტყვისადმი ულალატო დამოკიდებულებას.

„პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები და მოვალეობანი უაღრესად ფართოა, — აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.—ისინი ზრუნავენ მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, მონაწილეობენ სამეურნეო, სოციალური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში, ბევრ რამეს აკეთებენ სოციალისტური შეჯიბრების, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის აღმავლობისათვის“. ეს სიტყვები უშუალოდ ეხება საქართველოს პროფკავშირებსაც, როგორც ჩვენი ქვეყნის ...

პარტიული სწავლების ქმედითობა

ჩვენი პარტიის თეორიული საფუძვლების, ისტორიისა და პოლიტიკის არსში ღრმა წვდომა, ცხოვრებასთან, შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტასთან მჭიდრო კავშირი — ასეთი ნიშნები ახასიათებს მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში მიმდინარე წლის ბევრ მეცადინეობას.

პარტიული და ეკონომიკური სწავლების სკოლებში, თეორიულ და მეთოდოლოგიურ სემინარებზე დიდი აღმავლობით განიხილეს წლის შესავალი თემა: „პარტიის ძალა ხალხთან ერთობაშია, ხალხის ძალა პარტიასთან ერთობაში, მის ხელმძღვანელობაშია“. აქტიურად, შინაარსიანად მიმდინარეობს ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების შესწავლისადმი მიძღვნილი მეცადინეობანი. პროპაგანდისტები და მსმენელები მომთხოვნელ, პრინციპულ სჯა-ბაასს მართავენ შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების გზებსა და რეზერვებზე, კომუნისტთა ავანგარდულ როლზე, შრომითსა და ზნეობრივ მაგალითზე, პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლედის დავალებების რეალიზაციაში მათს პირად წვლილზე.

„პარტიული განათლების მთავარი საკითხი, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე, — ალბათ, მისი შედეგიანობაა. რას გვინდა მივაღწიოთ? ჩვენ გვინდა, რომ პარტიის პოლიტიკა ერწყმოდეს მასების საქმიანობას, რომ პარტიული განათლება ასწავლიდეს ადამიანებს, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმოქმედონ ისე, „როგორც ამას ნამდვილად მოითხოვს კომუნიზმი“... ეტყობა, არ უნდა გადავყვეთ სემინარების მსმენელთა რიცხვის მეტისმეტად ზრდას და საბოლოოდ შემოვაბრუნოთ საქმე სწავლების, უწინარესად, კომუნისტთა სწავლების ...

...

ობის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის, მტრული იდეოლოგიისადმი, კომუნისტური მორალის ნორმების უოველგვარი დარღვევისადმი შეურიგებლობის პირად მაგალითს.

გულმოდგინე და მიზანდასახული სწავლება პრაქტიკულ საქმესთან ცოცხალი ერთიანობით ხელს შეგვიწყობს ღირსეულად შევასრულოთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, წარმატებით დავძლიოთ ხუთწლედის მიჯნები, შთაგვაგონებს მივაღწიოთ ახალ წარმატებებს კომუნიზმის სადიდებლად.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა XVII ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატებს — რესპუბლიკის უველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ღირსეულ წარმომადგენლებს, მისი გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმოგზავნილებს.

ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მათი შრომის მაღალი შეფასებით, აქტიურად ახორციელებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიდებულ პროგრამას, ემზადებიან ახალი მიღწევებით აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი.

პროფკავშირები, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის გავლენიანი ძალა, აქტიურად მონაწილეობენ მართვასა და მეურნეობრიობაში, მშრომელთა უფართოესი მასების კომუნისტურ აღზრდაში. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ამაღლებაში, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, მათი პოლიტიკური შეგნებისა და შემოქმედებითი ინიციატივის ...

ნები. მეთერთმეტე ხუთწლედის დაძაბულ დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება მოითხოვს რესპუბლიკის თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული მშრომელის აქტიურ შემოქმედებას, უმაღლეს ორგანიზებულობას, უაღრეს მობილიზებას.

უფრო ეფექტიანად იყენებდნენ სოციალისტური შეჯიბრების უდიდეს შესაძლებლობებს, აღწევდნენ მუშაობის მაღალ ხარისხს ყველა უბანზე, შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას, ყოველნაირად ზრუნავდნენ შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, მისი პირობების გაუმჯობესებისათვის, დღენიადაგ ეძებდნენ მომჭირნეობის გამოუყენებელ რეზერვებს — აი მთავარი ამოცანები პროფკავშირებისა, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ აყვავებას.

მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროფკავშირულ ორგანიზაციებს სასურსათო პროგრამის — მთელი ხუთწლედის ცენტრალური პრობლემის გადაწყვეტაში. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის პროცესში, რომელიც აქტიურად ვითარდება რესპუბლიკაში, პროფკავშირებისაგან მოითხოვს, რომ უფრო ზუსტად წარმართონ თავიანთი საქმიანობა სოფლად ერთიანი საბოლოო მიზნის მიღწევისათვის ...

რად უნდა აბამდნენ მშრომელებს წარმოების, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პროფკავშირულ ორგანიზაციებს მოუწოდებს იბრძოლონ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის, თანამიმდევრულად ჩაუნერგონ თითოეულ მშრომელს შეურიგებლობა ნეგატიური მოვლენებისადმი ცხოვრების ყველა დარგში, ლენინურად განამტკიცონ კავშირი ხალხის მასებთან, მოიპოვონ მათი აბსოლუტური ნდობა.

დასახული ამოცანების გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფკავშირულ ორგანიზაციათა მებრძოლურობას. დღენიადაგ უნდა ვამაღლებდეთ ორგანიზატორული მუშაობის დონეს, შეგვქონდეს მასში კონკრეტულობა, გეგმიანობა, მაღალი პასუხისმგებლობა, ეფექტიანად ვიყენებდეთ მონიჭებულ უფლებებსა და შესაძლებლობებს მუშათა და მოსამსახურეთა კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, მტკიცედ და დაუნდობლად ვიბრძოდეთ ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. რესპუბლიკაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები ...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ქარელის რაიონის სოფელ აბისის კოლმეურნეობის მეჭარხლე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციალა მეარყიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მექანიზატორ ქალიშვილთა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ცისანა თალაკვაძე, ჭიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ავტოშემკეთებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი ზურაბ გულიაშვილი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მერი მახათაძე, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვას მეჩაიე მარიამ ფეიკონდი, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეობის მეჩაიე ქსენია კუხალაშვილი და ცხაკაიას № 5 სამშენებლო ტრესტის სამრეწველო კომბინატის ხურო მელოდი ინჯგია.

ვ. გენგიურის ფოტო.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

27 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო ...

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია. (საქინფორმი).

ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს

რესპუბლიკის დედაქალაქში გრძელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კომპარტიის ...

... საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ.

კითხვებს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ჟ. კ. შარტავა. (საქინფორმი).

მის აღმატებულებას ბატონ მაუნო კოივისტოს, ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

გულითადად გილოცავთ, ბატონო კოივისტო ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საპატიო პოსტზე თქვენი არჩევის გამო.

საბჭოთა კავშირი და ფინეთი თავიანთ ურთიერთობას აგებენ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველზე, რომელმაც დამაჯერებლად დაადასტურა თავისი ისტორიული ღირებულება და წარუვალი მნიშვნელობა. ამ ხელშეკრულების პრინციპების შესაბამისად ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის შეიქმნა ურთიერთნდობის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ატმოსფერო ...

ლ. ბრეჟნევი.

დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა

მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი. დელეგაცია იყო გვინეის სახალხო რევოლუციურ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გვინეის სახელმწიფოს პარტიის პარტიათაშორისო ურთიერთობის გეგმის შესაბამისად. (საქდესი).

ყვავილები ვ. ი. ლენინს

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები გამოგზავნეს რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობაზე, რომელიც 28 იანვარს გაიხსნება რესპუბლიკის დედაქალაქში.

საბჭოთა საქართველოს პროფესიული კავშირების ფორუმის წინ მისი დელეგატები მივიდნენ თბილისის ვ. ი. ლენინის მოედანზე და გვირგვინებით შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ძეგლი.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრო საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ი. მოსაშვილი. (საქინფორმი).

ასწლეულების სადარი გზა

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ციკლი შეიმუშავა საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების გამგეობამ. ერთი მათგანი გახდა მკითხველთა კონფერენცია, რომელიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან ერთად მოაწყო. კონფერენციაზე განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის წიგნი „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სამოცი წლის თავი“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კაკაბაძემ.

მომხსენებელმა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გ. ჟვანიამ, კონფერენციაზე გამოსულმა პარტიის ვეტერანმა გ. მირიანაშვილმა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის სექტორის გამგემ გ. ბეჟუაშვილმა, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თ. ცხვედიანმა და სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს წიგნი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის 60 საბჭოთა წლის მანძილზე განვითარების ყველა ძირითად ეტაპს მოიცავს, დამაჯერებლად ცხადყოფს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის გამარჯვებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის დამკრძალავი მთავრობის კომისიისაგან

მთავრობის კომისია იუწყება, რომ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში განსვენებულ მ. ა. სუსლოვთან გამოსათხოვებლად შესვლა შეიძლება 28 იანვარს დილის 10-დან 18 საათამდე და 29 იანვარს დილის 9-დან 11 საათამდე.

პროფკავშირები — ხუთწლედს

პარტიას პროფკავშირები მიაჩნია მასებში თავის საიმედო დასაყრდენად, დემოკრატიის განვითარების, კომუნისტური მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის მძლავრ საშუალებად.
ლ. ი. ბრეჟნევი

XVII

რით ხვდება საქართველოს პროფკავშირები თავის XVII ყრილობას. ამის შესახებ მოგითხრობთ ამ გვერდზე.

ალმშენებლობის გზით

ვ. ი. ლენინის №1 პროფკავშირული ბილეთის გადიდებული ფოტოსურათი, თბილისში, კავშირთშორისი კულტურის სასახლეში გახსნილი მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატია. მის ოთხ დარბაზში დამთვალიერებელთა თვალწინ გადაშლილია საქართველოს პროფკავშირთა მთელი ისტორია ჩასახვის მომენტიდან დღევანდლამდე.

— ეს ჯერჯერობით ქვეყანაში პროფკავშირთა ისტორიის …

სოციალისტური შეჯიბრების კაბინეტი მოქმედებს...

** იმ საინტერესო** სიახლეთა შორის, რომლებიც ორ ყრილობას შორის საანგარიშო პერიოდში იშვა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კაბინეტი, რომელიც თბილისში, საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ბაზაზე შეიქმნა. თავისი არსებობის სულ მცირე დროის მანძილზე იგი უკვე იქცა მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების ინიციატივის განვითარების მძლავრ საშუალებად, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლის, პროპაგანდისა და გავრცელების თავისებურ შემოქმედებით ლაბორატორიად. კაბინეტი დიდ როლს ასრულებს აგრეთვე შეჯიბრების ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში.

კაბინეტის მუშაკები ცდილობენ, რაც შეიძლება მარჯვედ იქნეს გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების ყველაზე უფრო ეფექტიანი ფორმები. მათი მიზანია მოწინავეთა გამოცდილება თითოეულისა და ყველას კუთვნილება გახდეს. იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად იქნეს მიზანი მიღწეული, კაბინეტის მუშა…

… დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, როგორიც არის შეჯიბრების ორგანიზაცია, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება. ამ მიზნით აქ გამართულ თათბირ-სემინარებზე, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე შუქდება წარმოების მოწინავეების, შრომითი კოლექტივების მიღწევები. ყოველივე ეს ხელს უწყობს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი გამოცდილების ათვისებასა და გავრცელებას.

მოგეხსენებათ, ყოველგვარი მეცადინეობა პრაქტიკული შედეგებით განისაზღვრება. კაბინეტის მუშაკთა მოღვაწეობის უკუგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნათელია. ბოლნისის რაიონის სარაჩლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში კაბინეტის რეკომენდაციებით შეიცვალა შეჯიბრების ორგანიზაციის ხასიათი, ამაღლდა შრომითი მეტოქეობის ქმედითობა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. წელს ბოლნისის რაიონმა კარტოფილის მოსავლის საუცხოო მოსავალი მოიწია.

კაბინეტის თანამშრომლები …

უკვე ცნობილია, წარმატებითაც გაართვეს თავი ამ არც თუ ისე იოლ ამოცანას. შემოქმედებითი შრომა გრძელდება.

საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, მუდმივი ძიება კაბინეტის მუშაობის სტილისათვის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. …

ზ. გვინიანი.

ერთიანი მისწრაფებით

ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები

საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობა, რომელიც დღეს მუშაობას შეუდგება, განაზოგადებს პროფსაბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ ორგანიზატორულ საქმიანობას, წარმოების ეფექტიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, მშრომელთა მზარდი მატერიალური, სოციალური თუ კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში შეძენილ გამოცდილებას.

როგორ, რით ვხვდებით ყრილობას? რა მისწრაფებებით, რა გეგმებით არის ალსავსე დღეს თითოეული პროფკავშირული ორგანიზაცია? — აი დელეგატთა ყრილობისწინა გადაძახილის თემა.

მაშ ასე, სიტყვას ვაძლევთ ყრილობის დელეგატებს.

მხოლოდ ხარისხის ნიშნით

წინა პროფკავშირული ყრილობიდან გასული საანგარიშო პერიოდი თითქმის დაემთხვა საწარმოში ჩემს მოსვლას. დავამთავრე საშუალო სკოლა და სამკერვალო ფაბრიკაში მოვედი სამუშაოდ. ფეხბედნიერი გამოდგა ჩემი მოსვლა აქ. საწარმოს ათასკაციანი კოლექტივისთვის ეს განვლილი პერიოდი მეტად ნაყოფიერი იყო. ჩვენი წარმატებები, კერძოდ, ის ფაქტი, რომ შარშანდელი წლიური დავალება ვადაზე ხუთი დღით ადრე შევასრულეთ და გეგმის გადამეტებით 320 ათასი მანეთის სამკერვალო ნაწარმი გამოვუშვით, ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. ძირითადად კი ეს მაინც კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრების ლოგიკური შედეგია.

შეჯიბრება ჩვენთან ნამდვილად საჯაროა, მოიცავს მთელ კოლექტივს. მრავალჯერ დავუჯილდოვებივართ საკავშირო პროფსაბჭოს და რესპუბლიკური პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით. …

… რაში პროფკავშირებს უდიდესი როლის შესრულება ძალუძთ. პრაქტიკამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ სოციალისტური შეჯიბრების სათანადო დონეზე მოწყობა, მშრომელთა მატერიალური და მორალური სტიმულირების სხვადასხვა ფორმების უნარიანი შეხამება, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საწარმოო მაჩვენებელს.

თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობა", სადაც მე ვმუშაობ, ყოველთვის მოწინავეა. არც რესპუბლიკის მშრომელთა დღევანდელ ფორუმზე მოვსულვართ პირშერცხვენილები: შარშანდელი სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დავამთავრეთ, სახელმწიფოს საგეგმო 7.500 ტონის ნაცვლად 7.792 ტონა ყურძენი მივუწონეთ, ჰექტარზე საშუალოდ 34,5 ცენტნერი ხორბალი და 58 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოვიწიეთ, რაც საგეგმოს ბევრით აღემატება. გეგმიურზე მეტი დავამზადეთ აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტები. …

… კადრების დენადობის მინიმუმამდე შემცირება, ახალბედა მუშაკების პროფესიული დახელოვნებისათვის ბრძოლა, დამრიგებლობითი საქმიანობის გააქტიურება...

ახლა საექსპლოატაციო უბნების პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეებად შერჩეული არიან ახალგაზრდა მუშები. საშახტო კომიტეტის დიდი უმრავლესობა აგრეთვე ახალგაზრდა აქტივისტებისაგან არის დაკომპლექტებული. ბევრი ახალგაზრდა სხვადასხვა კომისიას უდგას სათავეში ან შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორის საპატიო მოვალეობას ასრულებს.

შემოღებული გვაქვს ახალგაზრდობაზე ზემოქმედების მრავალი ფორმა. წარჩინებულ, შრომაში გამოჩენილ მეშახტეთა გვარები შეგვაქვს საპატიო წიგნში ან საპატიო დაფაზე. მათ ვაქებთ კედლის გაზეთში, ფურცელ „ელვა-ში".

დიდი ეფექტი მოგვცა სტამბური წესით დაბეჭდილმა ფურცელმა „შეტყობინება გამცდენის ოჯახს". ახალგაზრდა მეშახტე უმიზეზოდ რომ გააცდენს სამუშაოს …

რამდენი ათასი სიხარული

…

ზრუნვას არ შეიძლება ჩვენი მხრივ ენთუზიაზმით არ ვუპასუხოთ. შარშან ჩვენმა ბრიგადამ 28 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა ჩააბარა. რამდენი ათასი სიხარულია ეს!

მინდა პროფკავშირული ორგანიზაციის ყურადღება მივაპყრო იმასაც, თუ რა პირობებში …

… რო დავხვეწოთ ტექნოლოგიური პროცესები და საბოლოო ანგარიშით გავზარდოთ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება. საფაბრიკო კოლექტივის ინიციატივით ფაბრიკასთან აშენებულია საბავშვო ბაღი, რომელიც ახლა ქალაქში ერთ-ერთი სანიმუშოა. საბავშვო ბაღმა ჩვენთან მომუშავე ქალებს ბევრად შეუმსუბუქა პირობები. შარშან 54 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. 120 ბინა მალე გაახარებს ბედნიერ ოჯახებს. ერთი სიტყვით, ხალისიან შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში გადის დრო. დიახ, გადის, მაგრამ მასზე, რაც უკან დარჩა, რაც წავიდა და აღარ დაბრუნდება, გული არ გწყდება იმიტომ, რომ იგი სავსე იყო, იმიტომ რომ დროის ამ მცირე მონაკვეთში საკუთარი გარჯის გამო არ გრცხვენია, პირიქით, გეამაყება, მიღწეული …

მ. გოგოხოვა,
ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის …

თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ამ საანგარიშო პერიოდში ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა. ამ წარმატებაში დიდია პროფკავშირული ორგანიზაციის როლი. № 2 სამკერვალო საამქრო ერთ-ერთი მოწინავეა საწარმოში. სურათზე: თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის № 2 საამქროს პროფკავშირის კომიტეტის წევრები ო. გვარამაძე (მარცხნიდან), ნ. ცინცაძე, ც. მიდელაური, გ. ხინჩაგაშვილი, თ. ტომარაძე, ჟ. კუხალაშვილი და ნ. მელუა მსჯელობენ საამქროს პროდუქციის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ციფრები მეტყველებენ

● **ამჟამად** საქართველოში არსებული 19 ათასი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია 2448 ათას კაცს აერთიანებს. ეს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეებისა და მო…

… ბის 100-ზე მეტ მოწინავესა და ნოვატორს.

● **მეათე** ხუთწლედის მანძილზე საქართველოს მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგები …

… რების რიცხვი ოცი ათასით და მეტად გაიზარდა. მათი აქტიური მონაწილეობით მეათე ხუთწლედში დანერგილ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფე…

● **რესპუბლიკაში** …

● **გამოგონებლითა** და …

● **საქართველოს** …

● **საბავშვო** …

● **სანატორიუმ-პანსიონატ…** …

ნაკლი არ შედა მეგზებათოთ

…

მთავარი მაინც მომავალია

…

ბ. ციცაძე…

ყრილობას მიეძღვნა

…

მუშური სინდისის ძალა

…

ბ. აბასაშვილი.

● დეპუტატი. საზოგადოება. ხანა

იყავ მოქალაქე

„ერთხელ მკითხეს, ინტელიგენტი რა არისო. ვუპასუხე, ინტელიგენტად მიმაჩნია ჩემი წერა-კითხვის უცოდინარი ბაბუა, რომელმაც არცკი იცოდა ეს სიტყვა, მაგრამ ყოველთვის ფეხზე წამოდგებოდა ხოლმე, როცა სტუმარი შემოვიდოდა, თუნდაც ეს მეზობლის პატარა ბიჭი ყოფილიყო...“ უთხრა ნოდარ დუმბაძემ „იზვესტიის“ კორესპონდენტს ლეონიდ შინკარიოვს ახალგაზრდობის ფსიქოლოგიაზე საუბრისას.

ნოდარ დუმბაძე ცნობილი საბჭოთა მწერალია. ავტორია წიგნებისა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა“, „თეთრი ბაირაღები“, „მარადისობის კანონი“, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეროვნებათა საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის წევრია. იგი 53 წლისაა, ჰყავს ორი შვილი, ცხოვრობს თბილისში.

ნოდარ დუმბაძის დაკვირვებანი თომბაზე, რომელიც ბავშვის სამყაროდან დიდებში გადადის, როცა ირღვევა ერთი როგორ ცნებები და იქმნება ახალი, გავლენას რომ ახდენს ფსიქიკაზე, ცხოვრებისეულ პოზიციაზე, უკვე არა ყმაწვილის, ...

მიაგნო, ანუ საკუთარი თავი იპოვა. ეს კი ურთულესი ფსიქოლოგიური და მორალური პრობლემაა — პროფესიულად განისაზღვრო თანამედროვე საზოგადოებაში. მით უმეტეს, გარდამავალ ასაკში, როცა საკუთარი თავი ეულად, ყველა- ...

შეიძლება ყმაწვილს იმის უფლება მივცეთ, რომ მასში ქვენა გრძნობებმა გაიმარჯვოს. ადამიანი მანამდე უნდა ამოათრიონ ჭაობიდან, სანამ თმა მაინც მოუჩანს.

დეპუტატის საქმეებზე მუშაობისას ერთი 15 წლის გოგო- ...

მათი ცხოვრების ყაიდა ინდივიდუალისტურად გამომწვევია. ასეთი ცოტაა, მაგრამ საშიში არიან არა თვითონ, არამედ თანატოლებზე გამხრწნელი გავლენით.

ერთხელ დავუფიქრდი, როგორ ხდება, რომ ერთსა და ...

[...]

...ახის მსოფლიოს მთელ პროდუქციას, რომელსაც ადამიანები ცხოვრების სიხარულით ქმნიან.

ლ. შინკარიოვი. ალბათ სიხარულიანი ცხოვრება მაინც ცოდნას, პროფესიონალიზმს უნდა შევუხამოთ. ყმაწვილს ფრიად დიდი პრეტენზიები აქვს ხოლმე, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა მის შინაგან რესურსებს, მას სწამს დევიზი: „ეძიებდე და ჰპოვებდე“. მაგრამ ჰპოვებენ მეტწილად ისინი, ვინც თავის მოწოდებას ...

...რუხდება, ისევ დამშვიდდება. საჭირო არ არის ასეთი სიტუაციის დრამატირება, ეს ასაკობრივია.

ახალგაზრდა ადამიანს ძლიერი და ფაქიზი სიამაყის გრძნობა აქვს. მახსოვს, სკოლაში ცელქი ვიყავი, თუმცა ცუდად არ ვსწავლობდი. და ერთხელ, როცა რაღაც ჩავიდინე, მასწავლებელმა მითხრა: „დუმბაძე, ან შენ გადი კლასიდან, ან მე გავალ“. ჰოდა, გავიდა. მე კი დავრჩი, და ვერ შევიგნე, რა სისულელე ჩავიდინე. ცხადია, ასაკის გულისთვისაც კი, არ ...

...რება არცთუ ძალიან უწყობს ხელს ნორჩი მოქალაქისათვის ამაღლებული ზნეობრივი თვისებების ჩანერგვას. მე, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ოჯახები, სადაც დედა თუ მამა თაღლითობს, სპეკულანტობს, ქურდობს. ასეთ მშობლებს ხშირად აღზრდა ისა ჰგონიათ, რომ ბავშვს ფული და მანქანა არ მოაკლონ. მინახავს ასეთი ახალგაზრდები. ზოგიერთ მათგანს კარგი განათლება აქვს, უცხო ენები იცის, მუსიკაც ეხერხება, ინტელექტუალურ კაცად გეჩვენება, მაგრამ ...

...ქონებმა გამიფანტა ეჭვი. ეს იყო დეპუტატის ბარათი სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიისადმი მოსწავლეთა შრომით აღზრდაში საქართველოს გამოცდილების შესახებ. „ტირაჟი სულ ერთი ეგზემპლარია, — მითხრა ნოდარმა ხელის ჩამორთმევისას, — მაგრამ არა მგონია ეს თხზულება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე სხვები, რომლებსაც ხელს აწერს „დუმბაძე“.

„იზვესტია“, 1982 წ. 25/I.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

ა. ა. გრომიკოსა და ა. ჰეიგის მოლაპარაკება

ჟენევა. აქ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის მოლაპარაკება.

მინისტრებს ჰქონდათ ორი შეხვედრა, რომელთა დროს განიხილეს ფართო წრის საკითხები როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის, ისე მთლიანად საერთაშორისო ვითარების შესახებ.

საბჭოთა მხარემ მთავარი ყურადღება დაუთმო გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისა და მშვიდობის განმტკიცების საკითხებს.

ამ თვალსაზრისით განიხილეს საქმის ვითარება აგრეთვე ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე, ორივე მხარემ აღნიშნა, რომ მათ პოზიციებს შორის არსებობს განსხვავება, რომელიც ჯერ კიდევ დაძლეული არ არის. ხოლო რაც შეეხება საბჭოთა მხარეს, იგი, როგორც დღემდე, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს ამ პრობლემის გადაწყვეტას. მათ დათქვეს, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები ჟენევაში განაგრძობენ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის კონკრეტული საკითხების განხილვას.

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების განახლების საკითხის განხილვის დროს ამერიკის მხარემ თავი აარიდა დაეთქვა ვადა, თუ როდის იქნება მზად დაიწყოს მოლაპარაკება ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ სსრ კავშირი მზად არის ამისათვის.

ა. ა. გრომიკოსა და ა. ჰეიგს შორის გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ისეთ საინტერესო პრობლემებზე, როგორიც ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ აფრიკის, აზიისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მდგომარეობაა.

საბჭოთა მხარემ ყველა ამ პრობლემის გამო ჩამოაყალიბა პრინციპული პოზიცია, რომელიც გულისხმობს იმის აუცილებლობას, რომ აღმოიფხვრას საშიშროება, რომელსაც მშვიდობას უქმნის არსებული დაძაბულობა ამ რაიონებში, და უზრუნველყოფილი იქნეს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებანი.

ამერიკის მხარემ სცადა განხილვის საგნად ექცია საკითხები, რომლებიც ეხება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მომხდარ ამბებს. ეს ცდა საბჭოთა მხარემ უარყო როგორც ისეთი რამ, რაც შეუთავსებელია სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპთან.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ გამართული მოლაპარაკება აუცილებელი და სასარგებლო იყო.

პოლონეთის სეიმის დადგენილება

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმმა მოიწონა პოზიცია, რომელიც ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელსკიმ წარმოადგინა.

სეიმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ პოლონეთის ამბეში განვითარება 1981 წლის 13 დეკემბრამდე ქვეყანას უდიდეს საფრთხეს უქადდა. სოციალიზმისადმი მტრული ანარქიისა და დესტაბილიზაციის ძალები ილაშქრებდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებისა და ძირითადი ინსტიტუტების წინააღმდეგ, ძირს უთხრიდნენ მის კავშირებს, დამბლას სცემდნენ სახალხო მეურნეობას და სახელმწიფო ცხოვრებას. სამშვიდობო მოწოდებებს საზოგადოებაში, კეთილგონიერებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მოწოდებებს, პრინციპულ რეკომენდაციებს, რომლებსაც სეიმის დადგენილებანი შეიცავდნენ, შედეგი არ მოჰქონდა. სულ უფრო რეალური ხდებოდა სამოქალაქო ომის საფრთხე, პოლონეთის კრიზისის ინტერნაციონალიზაცია და ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ძირგამოთხრა... სახელმწიფოს ხსნა ასეთ სიტუაციაში შეუძლებელი იყო საგანგებო ღონისძიებების მიუღებლად. იმის გამო, რომ ქვეყნის უშიშროების საფრთხე სულ უფრო ძლიერდებოდა, სახელმწიფო საბჭო იძულებული გახდა სამხედრო წესები შემოეღო. ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობა იკისრა არმიამ, რომელმაც პოლონელებს თავიდან აცილა ეროვნული კატასტროფა. სეიმი აღნიშნავს, რომ სამხედრო წესების შემოღება იყო აუცილებლობა, ნაკლები ბოროტება ვინემ — კონფრონტაცია, რომელიც სისხლისღვრით დამთავრდებოდა. მან ქვეყანას თავიდან აცილა კონფრონტაცია და შეუქმნა შესაძლებლობა აღედგინა სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ფუნქციონირების, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური პირობები.

სეიმმა მტკიცედ განაცხადა, რომ სოციალისტური მშენებლობის საქმე უნდა გაგრძელდეს და გაგრძელდება კიდეც.

სეიმმა დაადასტურა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციური პრინციპების ურყეობა, მისი საფუძველია საბჭოეთთან და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებთან კავშირი და მეგობრობა. ისინი წარმოადგენენ პოლონეთის უშიშროებას, მისი სუვერენული და დამოუკიდებელი არსებობის, მისი ძლიერებისა და წარმატებული განვითარების გარანტიას.

სეიმმა განაცხადა, რომ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური სანქციები, პოლიტიკური შანტაჟი და პოლონეთის საშინაო საქმეებში ჩარევის აშკარა ცდები დარღვევაა საერთაშორისო გაერთიანების პრინციპების, კერძოდ, იმ დებულებებისა, რომლებსაც შეიცავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი, ეს ჩარევა ვნებს ევროპის უშიშროებისა და მშვიდობის საქმეს.

სეიმმა დაამტკიცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტები სამხედრო წესების შესახებ.

26 იანვარს სეიმი მუშაობას განაგრძობდა.

● ფინეთი

მაუნო კოივისტო — ახალი პრეზიდენტი

ჰელსინკი. აქ გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად მომავალი ექვსი წლის ვადით აირჩიეს ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი მაუნო კოივისტო.

მ. კოივისტო დაიბადა 1923 წლის 25 ნოემბერს ქ. ტურკუში. 1947 წლიდან ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია. 1956 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1966-1967 წლებში, აგრეთვე 1972 წელს მ. კოივისტო ფინანსთა მინისტრი იყო, 1968-1970 წლებში ფინეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა.

1979 წლის მაისში მ. კოივისტო კვლავ ჩაუდგა სათავეში ქვეყნის მთავრობას. ჯანმრთელობის გამო პრეზიდენტ უ. კეკონენის სახელმწიფოს მეთაურის პოსტიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით 1981 წლის 10 სექტემბრიდან მ. კოივისტო პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

თავის საარჩევნო გამოსვლებში მ. კოივისტოს მრავალჯერ განუცხადებია, რომ საგარეო პოლიტიკაში „პაასიკივი — კეკონენის გეზს“ გააგრძელებს და განახორციელებს საბჭოთა კავშირთან მეგობრობის კურსს საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულების საფუძველზე.

● იუგოსლავია

მთავრობის პროტესტი

ბელგრადი. იუგოსლავიის მთავრობამ პროტესტი განუცხადა კანადის მთავრობას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყანაში ხელისუფალთა დასტურით მოეწყო ანტიიუგოსლავური ტერორისტული ჯგუფების პროვოკაციული თავყრილობა. ტანიუგის სააგენტოს მიერ გავრცელებულ საპროტესტო ნოტაში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია იმ ექსტრემისტთა ამგვარი თავყრილობა, რომლებიც მონაწილეობენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და საზღვარგარეთ იუგოსლავიის წარმომადგენლობათა წინააღმდეგ ტერორისტული აქციების მოწყობაში.

შრომა და კაპიტალი

● გფრ

1. 704. 000 უმუშევარი

ესენში გაიმართა დასავლეთგერმანელ მეტალურგთა და მათი ოჯახების წევრების მასობრივი საპროტესტო მარში. მათ გაილაშქრეს წარმოების კაპიტალისტური „რაციონალიზაციის“ წინააღმდეგ, რომელიც კვეცავს სამუშაო ადგილებს. მანიფესტაციაში (სურათზე ზემოთ) ორი ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის ახლანდელი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ბოლო ათწლეულში ყველაზე მაღალი დონე უმუშევრობისა, რომელმაც მრეწველობის ყველა დარგი მოიცვა. ნიურნბერგის შრომის საკითხების ფედერალური სამმართველოს ცნობით, 1981 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში 1704000 უმუშევარი იყო.



დიაგრამაზე ნაჩვენებია უმუშევრობის შედარებითი ზრდა 1977-1981 წლების ნოემბერში.

ადნ-საკდესის ფოტო.

კრესა ადასტურებს

ამერიკის მხედრიონის დანაშაულობანი

ნიუ-იორკი. ცნობილი გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის მხედრიონის მიერ ქიმიური იარაღის დანაშაულებრივი გამოყენების ახალი ფაქტები.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ვიეტნამის ომის ვეტერანთა ჯგუფს ხელთ ჩაუვარდა ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი დოკუმენტის პროექტი, რომელსაც ეწოდება „ოპერაცია „რენჩ ჰენდი“: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები და ჰერბიციდები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 1961-1971 წლებში“. დოკუმენტში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები საიდუმლოდ აფრქვევდა ლაოსის ტერიტორიაზე სხვადასხვაგვარ ჰერბიციდებს. ამ ქვეყანაში ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენება დაიწყო 1965 წლის დეკემბერში სამხრეთ ვი- ...

...ბლუ“ და 80 ათას ლიტრამდე დეფოლიანტები „ეიჯენთ ფინკი“ და „ეიჯენთ გრინი“. ამასთან, აღნიშნულია პროექტში, ეს ამბავი დაუმალეს საერთაშორისო კომისიას, რომელიც, ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა დებულებების შესაბამისად, ამოწმებდა სამხრეთ ვიეტნამში სამხედრო დანიშნულების ტვირთის გადაზიდვას. საიდუმლოს დაცვის მიზნით ქიმიური იარაღით დატვირთული კონტეინერები „სამოქალაქო ტვირთად“ აღინიშნებოდა და გადაჰქონდათ მხოლოდ ჰაერით, ...

...ფო მდივნის დ. რასკისა და თავდაცვის მინისტრის რ. მაკნამარას მითითებებით ფაქტობრივად აიკრძალა ოპერაცია „რენჩ ჰენდთან“ დაკავშირებული მასალების გამოქვეყნება.

მაგრამ, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ვიეტნამის ომის ვეტერანებმა ხელთ იგდეს დოკუმენტის პროექტის 20 ძალზე მნიშვნელოვანი გვერდი. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ტ. ზინსორმა განაცხადა, რომ ...

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

27 იანვარი

კულტურის ქრონიკა

მარია კალასის ფონდი

პარიზში შეიქმნა სახელგანთქმული ბერძენი საოპერო მომღერლის მარია კალასის ფონდი. მისი პრეზიდენტი გახდა პიანისტი ქალი ვასსო დევეცი, რომელსაც კარგად იცნობენ საბერძნეთისა (სადაც იგი დაიბადა) და საფრანგეთის (სადაც ცხოვრობს და მუშაობს) ფარგლებს გარეთაც. იგი რამდენჯერმე იყო საგასტროლოდ საბჭოთა კავშირში, მარია კალასთან ერთად ესწრებოდა პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსს.

ფონდის პირველი ნაბიჯი იყო ახალგაზრდა ბერძენი მომღერალი ქალის, ფონდის ერთ-ერთი სტიპენდიატის, ანიეს ბალცას კონცერტი პარიზის „გრანდ ოპერაში“. 1983 ან 1984 წელს დაგეგმილია საოპერო მომღერალთა და დამდგმელთა საერთაშორისო კონკურსის მოწყობა. ვასსო დევეცის განზრახული აქვს აგრეთვე დააწესოს კალასის სახელობის პრემია ახალი საუკეთესო საოპერო სპექტაკლისათვის და პარიზში, სადაც მომღერალი ქალი გარდაიცვალა, გახსნას მისი მუზეუმი.

მეცნიერება და ტექნიკა

აფრიანი ტანკერი

ტყუილად არ უთქვამთ, ყოველგვარი სიახლე ხშირად დიდი ხნის წინათ დავიწყებული სიძველეაო. მწვავე ენერგეტიკული კრიზისის პირობებში დასავლეთში კვლავ გაიხსენეს აფრიანი გემები. თუმცა, დღეს ისინი ბევრად განსხვავდებიან თავიანთი წინამორბედებისაგან როგორც ფორმით, ისე აღჭურვილობით. იაპონიაში წარმატებით დამთავრდა ტანკერ „შინ აიტოკუ მარუს“ გამოცდა. მას ჩვეულებრივი დიზელური ძრავის გარდა, ორი აფრა აქვს. ერთი წლის მანძილზე იგი იაპონიის ნავსადგურებს შორის მიმოდიოდა. აფრებს მართავდა ელექტრო-გამომთვლელი მანქანა, რომელიც უზრუნველყოფდა ქარის ძალის მაქსიმალურად გამოყენებას.

ეს საინტერესოა

როდის ვიზრდებით

მრავალი ცხოველი, კერძოდ, თაგვები, ყველაზე სწრაფად ღლვიძებიდან პირველ საათებში იზრდებიან, და ნაკლებად — ძილის წინ. დაახლოებით ასეთივე ციკლი ხდება ბავშვებში. ამ დასკვნამდე მივიდა სტრასბურგის პასტერის ინსტიტუტის მასწავლებელი კლოდინ უდეტი.

ზრდის ტემპი წლის დროის მიხედვით იცვლება, ყველაზე ინტენსიური განვითარება ხდება გაზაფხულზე, ყველაზე ნაკლები — ზამთარში. ინგლისში განხორციელებული გამოკვლევების შედეგად ზრდის „სეზონური“ ცვლილებები ბავშვთა 80 პროცენტს აღმოაჩნდა.

მეგობრები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ

ჩვენთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხუთი უნივერსიტეტია. მეექვსეს ჩვენ სამართლიანად ვუწოდებთ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც ახლა თითქმის რ- ათასი ჩვენი მომავალი მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტი სწავლობს, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური ხელმძღვანელობის სამდივნოს წევრმა თომას ბრაუნმა. იგი საქართველოში ჩამოვიდა სსრ კავშირში მოსწავლე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სტუდენტთა აქტივის საკავშირო სემინარში მონაწილეობისათვის, რომელიც გაიხსნა „ოქროს საწმისის“ საერთაშორისო ბანაკში. იგი მიმდინარეობს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირისა და თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ახალგაზრდათა ძმური კავშირების მონაწილეობით.

სემინარის გახსნისას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ორჯონიკიძემ გულთბილად მიულოცა მის მონაწილეებს, უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა.

სემინარის პროგრამით გათვალისწინებულია ლექციები და საუბრები, დისკუსიები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადების პრობლემებისა ...

გამოჩენილი მხედართმთავარი

ი. ვ. ტიულენევის დაბადების 80 წლის თავის გამო

თბილისის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის ერთ-ერთ ვიტრინაში სხვა რელიკვიებთან ერთად ძევს ოქროს საათი წარწერით „მედგარ სარდალს, არმიის გენერალს ი. ვ. ტიულენევს საქართველოს მშრომელებისაგან. XXV — ოქტომბერი".

ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევის ცხოვრება და მოღვაწეობა ძალიან ჰგავს იმათ ბედს, ვინც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა არმიაში სამსახურს, ვისაც თავი არ დაუზოგავს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმისათვის ბრძოლაში, ვინც ამრავლა საბჭოთა არმიის მხედრული დიდება და სახელი, მან 65 წელს იმსახურა ჯარში და სამ ომში მიიღო მონაწილეობა.

ი. ვ. ტიულენევი დაიბადა 1892 წლის 28 იანვარს ახლანდელი ულიანოვსკის ოლქის სოფელ შატრაშანში წვრილშვილიანი ღარიბი გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში შეიცნო მან გაჭირვება, შიმშილი და სიდუხჭირე, გლეხკაცის ნაიძულევი შრომის მთელი სიმძიმე. 1904 წლიდან ი. ვ. ტიულენევმა შეგირდად დაიწყო მუშაობა სოფლის სამჭედლოში, მერე კი შავ მუშად ბადაგსახამებლის ქარხანაში.

1905 წელს შატრაშანამდე მოაღწია კაპიტალისტთა და მემამულეთა წინააღმდეგ ამხედრებული მუშებისა და გლეხების რევოლუციური გამოსვლების ტალღამ. სოფელში ლატაკ გლეხთა გამოსვლებს სათავეში ჩაუდგა ვლადიმერ ტიულენევი. ჟანდარმები მკაცრად გაუსწორდნენ გლეხებს და სასტიკად სცემეს მათ შვილსაც — 13 წლის ივანეს. „სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მამისა თ ვ ი ს უნდა მიმებაძა და ლატაკთა დასაცავად მებრძოლა", — იხსენებდა შემდეგ ი. ვ. ტიულენევი.

15 წლის ასაკიდან ი. ვ. ტიულენევი მუშაობდა მატროსად, მეზადურად ასტრახანის თევზის სარეწებში. სწორედ აქ, მუშათა წრეში მიიღო მან კარგი პროლეტარული წრთობა. ხოლო 1913 წლიდან დაიწყო მისი სამსახური მეფის არმიის კავალერიის ერთ-ერთ ნაწილში. მან სრულად იწვნია მეფის არმიის ჯარისკაცის ბედის სიმწარე.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ი. ვ. ტიულენევს ფრონტზე მოუსწრო. რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის სწორ გზას ეძებდნენ და პოულობდნენ მას ლენინის სტატიებში, ბოლშევიკთა სიტყვებსა და საქმეებში. „ლენინი, ბოლშევიკური პარტია, — წერდა ი. ვ. ტიულენევი, — დაგვეხმარნენ იმ მოსხანე ჟამს აგვერჩია ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის ერთადერთი სწორი გზა". ჯარის ნაწილებიდან დელეგაციებს გზავნიდნენ პეტროგრადში. ერთ-ერთი ასეთი დელეგაციის შემადგენლობაში იყო პოლკის კომიტეტის წევრი ი. ვ. ტიულენევიც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ტიულენევი აქტიურად ებმება საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, ქმნის მუშებისა და ღატაკი გლეხების ცხენოსანთა რაზმებს, სათავეში უდგება მათს ბრძოლას კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ. წითელი არმიის ორგანიზაციის პირველი დღიდანვე ახალგაზრდა მეთაური მის მებრძოლთა რიგებშია, მონაწილეობს სიმბირსკის, სამარისა და ყაზანის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. 1918 წლის მარტში ი. ვ. ტიულენევი ბოლშევიკთა პარტიაში მიიღეს.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში კომუნისტური პარტია, ვ. ი. ლენინი, ხელმძღვანელობდნენ რა ახალი არმიის მშენებლობას, ზრდიდნენ პროლეტარულ სამეთაურო-პოლიტიკურ შემადგენლობას. მოეწყო სამხედრო კურსების ქსელი, შეიქმნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემია. 1918 წლის დამლევს ამ აკადემიის მსმენელი გახდა ი. ვ. ტიულენევიც. სამუდამოდ დაახსომდა მას პირველი შეხვედრა ვ. ი. ლენინთან. ეს 1918 წლის დეკემბრის დამდეგს მოხდა.

მაგრამ იმხანად აკადემიის დამთავრება ი. ვ. ტიულენევმა ვერ მოახერხა. აკადემია მან მხოლოდ 1922 წელს დაამთავრა. 1919 წლის ზაფხულში ტიულენევი მსმენელთა დიდ ჯგუფთან ერთად მოქმედ არმიაში გაიგზავნა და მოხვდა ს. მ. ბუდიონის ცხენოსანთა კორპუსში, მსახურობდა კორპუსის დაზვერვის, მერე კი ცხენოსანთა პირველი არმიის დაზვერვის უფროსად. როგორც ს. მ. ბუდიონი იხსენებს, ტიულენევმა თავი გამოიჩინა გულად მეთაურად, იგი ყოველთვის იქ აღმოჩნდებოდა ხოლმე, სადაც ყველაზე მეტად ჭირდა. ეგორლიკთან ბრძოლაში დაიღუპა ბრიგადის მეთაური მირონენკო და იგი ტიულენევმა შეცვალა. დაჭრილი ი. ვ. ტიულენევი ბოლომდე იბრძოდა, ხელმძღვანელობდა ბრიგადას. ასეთი იყო პოლონეთის ფრონტზეც, სადაც ტიულენევი კვლავ დაიჭრა, მაგრამ მწყობრში დარჩა. პირადი მამაცობა და ვაჟკაცობა, ჯარების ხელმძღვანელობის საუცხოო უნარი გამოიჩინა მან სამხრეთის ფრონტზეც, სადაც ცხენოსანთა არმიას ცხარე ბრძოლები ჰქონდა ვრანგელთან. მოგვიანებით რკპ(ბ) X ყრილობის სხვა დელეგატებთან და სტუმრებთან ერთად ი. ვ. ტიულენევი როგორც პოლკის მეთაური მონაწილეობს კრონშტადტის ამბოხების ჩახშობაში, წითელი არმიის სხვა მეთაურებთან ერთად მუსრავს ანტისაბჭოთა ბანდებს ტამბოვის ოლქში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ი. ვ. ტიულენევი მთელ თავის შემოქმედებით ენერგიასა და ინიციატივას ახმარს სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და საბრძოლო მომზადების, სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეს. მას ეკავა კავალერიის ბრიგადისა და დივიზიის მეთაურის, კავალერისტთა სასწავლებლის უფროსის, წითელი არმიის კავალერიის ინსპექტორის მოადგილის პოსტები.

1938 წლის მარტში ი. ვ. ტიულენევი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დაინიშნა. მაგრამ ეს მისი პირველი შეხვედრა როდი იყო ამიერკავკასიასთან. ჯერ კიდევ 1927-1930 წლებში იგი მეთაურობდა განსაკუთრებულ ბრიგადას, რომელშიც შედიოდა სამი ჩვეულებრივი და სამი ეროვნული — ქართული, აზერბაიჯანული და სომხური პოლკები.

ახალი სარდლის ხელმძღვანელობით ოლქში ბევრი რამ გაკეთდა ჯარის ნაწილებისა და შტაბების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში მიმდინარეობდა ჯარის ნაწილებისა და შენაერთების გადახალისება-ჩამოყალიბება, უმჯობესდებოდა ოლქის საჰაერო დაცვის სისტემა. ჯარებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა უმაღლესი და ზემდგომი სამეთაურო შემადგენლობის ოპერატიული მომზადების ორგანიზაციას საომარი მოქმედების მთაგორიანი თეატრის თავისებურებათა გათვალისწინებით.

1939 წელს ი. ვ. ტიულენევი მე-12 არმიის სარდლად მონაწილეობდა დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებელ ლაშქრობაში, ხოლო 1940 წლის შემოდგომაზე დაინიშნა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. წითელი არმიის ნიჭიერი მხედართმთავარი არჩეული იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ი. ვ. ტიულენევი ერთი იმათგანი იყო, ვინც პირველთა შორის ჩაუდგა სათავეში ფრონტს, იჩენდა ვაჟკაცობას და გულადობას, ორგანიზაციას უწევდა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა უკუგდებას. 1941 წლის ივნისიდან იგი სამხრეთის ფრონტს სარდლობდა, შემდეგ, 1942 წლის მაისიდან გამარჯვების დღემდე სათავეში ედგა ამიერკავკასიის ფრონტს და ყველგან გამოირჩეოდა ქვეყნის სამხრეთისა და განსაკუთრებით კავკასიის დაცვაში ჯარების შესანიშნავი ხელმძღვანელობის უნარით. ჰიტლერელთა სარდლობა დიდ იმედებს ამყარებდა კავკასიის დაპყრობაზე. უწინარეს ყოვლისა მას იმედი ჰქონდა, რომ ხელში ჩაიგდებდა კავკასიის ნავთობს, აამხედრებდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გადაჭრიდა გარე სამყაროსთან ჩვენი სამშობლოს დამაკავშირებელ სამხრეთის კომუნიკაციებს, რომლებიც ირანზე გადიოდა, უშუალო კავშირს დაამყარებდა თურქეთის არმიასთან და აიძულებდა მას თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს, შეაღწევდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მთავარსარდლის დირექტივის თანახმად, ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ არმიის გენერლის ი. ვ. ტიულენევის ხელმძღვანელობით, რთული პირობების შესაბამისად, 1942 წლის 4 აგვისტოს დაამთავრა ამიერკავკასიის დაცვის ახალი გეგმის შემუშავება, ამ გეგმის შესასრულებლად სამხედრო საბჭომ მოკლე ვადაში გასწია დიდი ორგანიზატორული მუშაობა, გამოიჩინა ინიციატივა და დიდი ოპერატიულობა ჯარების ხელმძღვანელობაში, რათა გამოეძებნა საჭირო ძალები, შეეიარაღებინა ისინი, დროზე გადაეჯგუფებინა ჩრდილოეთ კავკასიაში, შეექმნა მთელი რიგი კარგად მოწყობილი და სიღრმეში ეშელონირებული თავდაცვის ზღუდეები.

ომის განსაცდელის ჟამს კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა სამხედრო საბჭოს, მეთაურებისა და პოლიტორგანოების ტრადიციული ურთიერთობა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან. ამიერკავკასიის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღდგნენ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად. პარტორგანიზაციათა შემადგენლობის ნახევარზე მეტი არმიაში წავიდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ წითელი არმიის მეთაურებსა და პოლიტორგანოებს ამიერკავკასიელ მეომართა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მეომართა აღზრდაში.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა კუდით ქვა ასროლინეს ჰიტლერელებს და კავკასიიდან უკუაგდეს.

ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა ჩვენი ჯარების პირადი შემადგენლობის მაღალი საბრძოლო სულისკვეთების, ჯარისკაცებისა და ოფიცრების მასობრივი გმირობის მეოხებით. „ჩვენი ჯარისკაცების გმირობა. — ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, ლეგენდარული მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების ყოფილი უფროსი, კავკასიისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, — ისევე უძლეველი აღმოჩნდა, როგორც კავკასიონის მწვერვალები".

ომის შემდეგ ი. ვ. ტიულენევი სარდლობდა ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარებს, მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. იგი ყველა პოსტზე გამოირჩეოდა მაღალი პრინციპულობით, სამხედრო საქმის ღრმა ცოდნით, ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. ჯარების მარჯვე ხელმძღვანელობის, დიდ სამამულო ომში გამოჩენილი პირადი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის, ომის შემდგომ პერიოდში ჯარების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 60 წლის თავთან დაკავშირებით ი. ვ. ტიულენევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ხუთი წითელი დროშის ორდენით, 1-ლი ხარისხის კუტუზოვის ორდენით და მე-3 ხარისხის ორდენით „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის", მედლებით, აგრეთვე უცხოური ორდენებითა და მედლებით.

ი. ვ. ტიულენევის კალამს ეკუთვნის სამხედრო საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო სტატიები, პუბლიცისტური ნარკვევები, იგი სამხედრო მემუარების ავტორია. ამ ნაშრომებში განზოგადებული და გაშუქებული მდიდარი საბრძოლო გამოცდილება, მეტადრე მთაში ჯარების საბრძოლო მოქმედების ხელმძღვანელობის გამოცდილება დღესაც ფართოდ გამოიყენება ამიერკავკასიელ მეომართა სწავლებისა და აღზრდის საქმეში. არმიის გენერლის ი. ვ. ტიულენევის სახელოვანი ცხოვრების გზა მათთვის პარტიისა და ხალხის უანგარო სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში ოლქის მეომრები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა ტრადიციების მემკვიდრენი და განმგრძობნი განუხრელად ახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ფართოდ არიან ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით „საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას — საიმედო დაცვა", ფხიზლად იცავენ საბჭოთა სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრებს. (საქინფორმი).

ო. კულიშევი,

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა ე. ა. მანჯგალაძის დამკრძალავი კომისია ო. ვ. თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით.

ე. მანჯგალაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 58 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ეროსი აკაკის ძე მანჯგალაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლის თავს

ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვირეული

სიტყვის ოსტატთა სამოყვრო დღეები

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, 25 იანვარს თბილისში დაიწყო ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვირეული, რომელიც მოაწყვეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და საქართველოს ტელევიზიამ. ამ შეხვედრით რესპუბლიკაში იხსნება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი თემატიკური საღამოების ციკლი.

კვირეულში მონაწილეობის მისაღებად უკრაინიდან თბილისს ეწვივნენ ცნობილი კიეველი, ლვოველი, ხარკოველი პოეტები, პროზაიკოსები, ლიტერატურათმცოდნე ქართველოლოგები. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა კვირეულის მონაწილეებს და ინტერვიუ სთხოვა მათ.

ოთარ ნოდია,

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

ქართველ და უკრაინელ ლიტერატორთა კვირეული ჩვენი რესპუბლიკების მწერალთა კავშირების მეგობრობის კიდევ ერთი ფურცელია. ეს დღეები ერთგვარად შეაჯამებს იმ მუშაობას, რომელსაც თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგია მოძმე ხალხების საუკეთესო ლიტერატურული ნიმუშების თარგმანისა და პროპაგანდისათვის ეწევა.

ჩვენი შეხვედრების ძირითადი მიზანია სხვა-ბასხვა ქართული და უკრაინული ლიტერატურის თარგმანის საკითხებზე, ფართო აზრთა გაზიარება ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. განზრახული გვაქვს უკრაინული ლიტერატურის ოცტომეულის თარგმნა და გამოცემა. ამ მუშაობაში დიდ დახმარებას გვიწევენ უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები. ისინი გვირჩევენ სათარგმნ ლიტერატურას. ცხადია, ახლანდელი კვირეულიც დიდად დაგვეხმარება ამ მხრივ.

ასევე ინტენსიურად მუშაობენ უკრაინელი კოლეგები ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმანებზე. უკრაინელ მკითხველებს საშუალება ეძლევათ მშობლიურ ენაზე გაეცნონ როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს, ასევე თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშებსაც.

კვირეულში მონაწილეობისათვის გვეწვივნენ ცნობილი უკრაინელი პოეტები და მთარგმნელები ივანე დრაჩი, მიკოლა ვინგრანოვსკი, სვეტლანა იოვენკო, რომან ლუბკივსკი, ოლექსა სინიჩენკო, გრიგოლ ხალიმონენკო, მიხეილ იაცენკო, ჩვენი თანამემამულე რაულ ჩილაჩავა...

კვირეულის პროგრამა ძალზე ტევადი და მრავალფეროვანია, იგი ითვალისწინებს უკრაინელ მწერალთა შეხვედრებს რესპუბლიკის შემოქმედებით ინტელიგენციასთან, ქალაქის ღირსშესანიშნაობების გაცნობას.

ეს შეხვედრები, იმედია, დიდ წვლილს შეიტანს ორი მოძმე ხალხის სულიერ სიახლოვეში.

ივანე დრაჩი,

უკრაინის მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ურთიერთობათა სექციის თავმჯდომარე, პოეტი

უკვე კვირეულის პირველივე დღეებმა დამარწმუნა, რომ ჩვენი შეხვედრები ფრიად ნაყოფიერი იქნება.

როგორც ცნობილია, ქართველ და უკრაინელ ლიტერატორთა მეგობრობას დიდი ტრადიციები აქვს. წინამორბედთა საუკეთესო ტრადიციები ღირსეულად გრძელდება დღეს, ამჟამინდელი კვირეულის დღეებიც ამის ნათელი დასტურია. საინტერესო საუბრები ლიტერატურულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის მთავარ, კონკრეტულ გზებზე ჩვენი მომავალი მეგობრობის დიდი საწინდარია.

საქართველოში არაერთხელ ვყოფილვარ და ქართველ მწერლებთან და ლიტერატორებთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ყოველი ჩამოსვლა საქართველოში ახალ მიზნებს მისახავს, შარშან ნოდარ დუმბაძესთან და ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად ჩარგალს ვეწვიე, სადაც ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რესტავრაცია მიმდინარეობდა... ძალიან მინდა ვთარგმნო ვაჟას პოემები, ვიცი, რთულ ამოცანას ვეჭიდები, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა.

ჩაფიქრებული მაქვს აგრეთვე შევქმნა კინოსცენარი, რომელსაც საფუძვლად დაედება ჩემივე წიგნი „ლესია უკრაინკა საქართველოში".

რომან ლუბკივსკი,

უკრაინის მწერალთა კავშირის ლვოვის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი.

თუმცა პირველად ვარ თბილისში, მაგრამ ქართველ მწერლებსა და ლიტერატორებს კარგად ვიცნობ. ჩვენთან უკრაინაში, კერძოდ, ლვოვში, არაერთხელ შევხვედრივარ მათ. ლვოვში დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა გვაქვს და ჩვენთან ჩამოსული ქართველი კოლეგები აუცილებლად მონახულებენ ხოლმე ბიბლიოთეკას, უძღვნიან ქართულ წიგნებს. აქ ეწყობა ხოლმე შეხვედრები, საღამოები, იმართება საუბრები ქართულ პოეზიაზე, ლიტერატურაზე. ეს კერა ერთგვარად ავსებს ხოლმე ჩვენი ქართველი ძმების მონატრების სურვილს.

ახლახან ლვოვში საბჭოთა საქართველოს ერთთვიური მოეწყო. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ლიტერატურასა და კულტურას კიდევ უფრო ღრმად გავეცანით. ჟურნალ „ჟოვტენში" (ოქტომბერი) გამოქვეყნდა ქართველ პოეტთა ახალი ლექსები, რომელმაც მეტი სტიმული მომცა სამომავლოდ.

პირადად მე თარგმნილი მაქვს ფრიდონ ხალვაშის, ნოდარ გურეშიძის, რაულ ჩილაჩავას ლექსები. მოხარული ვარ, რომ ახლა კიდევ უფრო დავეუფლები უკრაინული პოეზიისა და ლიტერატურის ქართულ ენაზე მთარგმნელებს ჯაბა ასათიანს, ამირან ასანიძეს, უშანგ რიჟინაშვილს, რომლებიც კარგ ხნულს ავლებენ ჩვენი ხალხების ურთიერთმეგობრობის, განვითარება-დაახლოებაში.

სურათზე: უკრაინელი სტუმრები ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში.

ვ. ბენბიურის ფოტო.

ფიროსმანის ხელოვნების შუქი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ გამოჩენილი რუსი მწერლის კონსტანტინე სიმონოვის ანდერძის თანახმად, საბჭოთა საქართველოს დაუბრუნდა ნიკო ფიროსმანაშვილის ორი ბრწყინვალე ტილო „სააღდგომო სუფრა" და „ოჯახური ქეიფი". ჩვენ იმასაც გაუწყებდით, რომ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ამ დღეებში გამოფენდნენ ამ სურათებს.

გუშინწინ თბილისს ეწვივნენ კონსტანტინე სიმონოვის ქალიშვილები ეკატერინე სიმონოვა-გუძენკო და ალექსანდრა სიმონოვა. როგორც იცით, სწორედ მათ აღასრულეს მამის დანაბარები — ქართველი მხატვრის ნამუშევრები გადასცეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

და აი, გუშინ ჩვენი სტუმრების თანდასწრებით ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფინეს ნიკო ფიროსმანის „სააღდგომო სუფრა" და „ოჯახური ქეიფი".

— საქართველოსადმი მამაჩემის დამოკიდებულება განსაკუთრებული იყო — გვეუბნება ე. სიმონოვა-გუძენკო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის პედაგოგი. — გატაცებით გვესაუბრებოდა ქართულ პოეზიაზე, მხატვრობაზე, თქვენს გულითად ხალხზე. ეს გულითადობა შემდეგ უკვე თვითონ ვიგრძენი რამდენჯერაც კი ჩამოვედი საქართველოში.

— და ახლაც ვგრძნობთ, — დასძენს ა. სიმონოვა, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი, — მე ხელოვნებათმცოდნე ვარ. კარგად ვიცნობ ქართულ კულტურას. ნიკო ფიროსმანი ჩემი საყვარელი მხატვარია, აი ეს ტილოებიც ხომ ცხადყოფს ფიროსმანის ხილას ნიჭს.

გამოფენა გახსნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა თ. სანიკიძემ. ვერნისაჟზე გამოვიდნენ საქართველოს სახალხო მხატვარი გ. ფირცხალავა, პოეტი ქ. კალაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი დ. თაყაიშვილი. ეს იყო მადლობის სიტყვები კონსტანტინე სიმონოვისადმი, მისი ოჯახისადმი, ქალიშვილებისადმი...

გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე (**„კომუნისტის" კორ.**).

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

მამაცი ტანკისტი

მათ არ ივიწყებს სამშობლო

ჩვენი გაზეთის 25 ნოემბრის გამოქვეყნებულ წერილში „ვინ არის კალანდაძე" მკითხველები გაეცნენ მამაც ქართველ ტანკისტს, ლეიტენანტ კალანდაძეს, რომელიც მოსკოვის მახლობლად იბრძოდა. იგი თავისი ტანკით ერთ-ერთი პირველი შეიჭრა კრიუკოვოს ქუჩებში, შეანგრია ფაშისტთა შტაბის შენობა და მტრის დიდი რაზმი გაფანტა. გვაინტერესებდა შევეტყო ქართველი გმირის შემდგომი ბედი.

და აი, რედაქციაში ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ო. კალანდაძის წერილი მივიღეთ, რომელიც გვატყობინებს, რომ გაზეთში მოხსენიებული გმირი არის ვალიკო კონსტანტინეს ძე კალანდაძე. გვიგზავნის მის სამკუთხა ბარათებს, რომლებიც დედისთვის გამოუგზავნია ფრონტიდან, და მის უკანასკნელ ფოტოსურათს. რედაქციაში გვეწვია ვ. კალანდაძის ძმა ოთარიც, რომელიც აგრეთვე სამამულო ომის მონაწილეა.

თბილისის 25-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვ. კალანდაძე ჩაირიცხა სატანკო სასწავლებელში სწავლობდა. ის იყო დაამთავრა სასწავლებელი, რომ დაიწყო დიდი სამამულო ომი, და ლეიტენანტი ვ. კალანდაძე ჩაება გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ამ პერიოდში დედისადმი მოწერილ წერილში იგი წუხდა და აინტერესებდა თავისი უმცროსი ძმის ოთარის ბედი, რომელიც სამხედრო სამსახურს ქ. პინსკში იხდიდა და ომის ქარცეცხლიც პირველსავე დღეს მათ დაატყდათ თავს. შემდგომ ძმებმა ერთმანეთის ამბავი შეიტყვეს. 1941 წლის ნოემბრის მიწურულს ოთარ კალანდაძე, რომელიც იმხანად მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა და მათი საარტილერიო პოლკი კუნცოვოსთან იდგა, შეეცადა ენახა ძმა. იგი თავის მეთაურს დაეთხოვა და კრიუკოვოს რაიონში გაემგზავრა, მაგრამ ადგილზე რომ მივიდა, ძმის სატანკო რაზმი იქ აღარ დაუხვდა — ფრონტის წინა ხაზზე გაეგზავნათ.

როგორც ვ. კალანდაძის სამკუთხა ბარათებიდან ამოვიკითხეთ, 1942 წლის გაზაფხულზე ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი ორჯერ დაჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით, 1943 წელს ჰოსპიტლიდან გამოგზავნილ წერილში დედას ატყობინებს თავისი დაჭრის ამბავს. დიდი ყინვების გამო გერმანელები თურმე სახლებში აწყობდნენ სამიზნე წერტებს: ვ. კალანდაძე ტანკით შეიჭრა სოფელში და მტერს ეკვეთა, ამ დროს მისი ეკიპაჟის წევრი მძიმედ დაიჭრა, ვალიკო ტანკიდან ამოვიდა, რათა მიშველებოდა, მაგრამ ამ დროს სახლებიდან ფაშისტები გამოცვივდნენ და მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება მოინდომეს. მამაცი ტანკისტი თავს იცავდა. შვიდი ფაშისტი დახოცა, მერვემ კი მისი დაჭრა შეძლო. შემდეგ თანამებრძოლებიც მიეხმარნენ. 1943 წელს ვ. კალანდაძე ლენინის ორდენით დაუჯილდოებიათ. სულ მალე კი დედამ სამწუხარო ამბავი შეიტყო. კაპიტანი ვ. კალანდაძე გმირულად დაიღუპა ვიტებსკის ოლქის სოფელ დუდარინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ოთარ კალანდაძე მხოლოდ 1947 წელს დაბრუნდა შინ. იგი დღესაც დაეძებს საყვარელი ძმის საფლავს, სურს უკანასკნელი ვალი მოიხადოს დაღუპულის ხსოვნის პატივსაცემად, დედის საფლავიდან წაღებული მიწა მოაბნიოს შორეულ მხარეში სამშობლოს დასაცავად დაღუპული ძმის საფლავს.

ლ. ტატიშვილი.

ყაჯახი

„ლივერპული"—შემდეგ წრეში

როცა ინგლისის მეორე ლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „ბარნსლიმ" ლიგის თასის გათამაშების მეოთხედფინალში ნულოვან ფრეს მიაღწია „ლივერპულთან" (და თანაც სტუმრად), ყველას ეგონა, რომ ეს საფეხბურთო სამყაროში სრულიად უცნობი კლუბი კიდევ უფრო განიმტკიცებდა „ფავორიტთა რისხვის" რეპუტაციას დი ხახევარფინალის საგზურს მოიპოვებდა — მას ხომ ახლა საკუთარ მინდორზე უნდა ემასპინძლა „ლივერპულისათვის". რაც შეეხება თვით ამ ტიტულს — „ფავორიტთა რისხვას" — „ბარნსლიმ" იგი სავსებით დამსახურებულად მოიხვეჭა ლიგის თასის გათამაშების პირველ სამ წრეში: მან ასპარეზობიდან გამოთიშა პირველი დივიზიონის სამი კლუბი: „მანჩესტერ სიტი", „სუანსი სიტი" და „ბრაიტონ ალბიონი". აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე ეს გუნდი ინგლისის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში ლიდერებს შორისაა.

„ლივერპულთან" განმეორებითი შეხვედრა „ბარნსლიმ" შეტევით დაიწყო და მალე უოკერმა ანგარიშიც გახსნა. მაგრამ მასპინძელთა სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. გავიდა ცოტა ხანი, და მოტლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა გრემ სუნესმა ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ დევიდ ჯონსონმა და კენი დალგლიშმა (რომელიც ასევე შოტლანდიელია) კიდევ ორი გოლი გაიტანეს და გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს — 3:1. ნახევარფინალში „ლივერპული" შეხვდება ჩემპიონატის ლიდერს „იფსვიჩ თაუნს", რომელმაც სძლია II ლიგის ბინადარს „უოტფორდს" — 2:1. მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ ლონდონის გუნდები „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (ბირმინგემში მოუგო ქვეყნის ჩემპიონს, ადგილობრივ „ასტონ ვილას" — 1:0) და „ტოტენჰემ ჰოტსპური" (შინ დაამარცხა „ნოტინგემ ფორესტი" — 1:0).

ადგილობრივი მიმომხილველები შეშფოთებით აღნიშნავენ ერთ გარემოებას: უკვე რამდენჯერმე მოხდა, რომ ლივერპულელები გატანილი გოლის შემდეგ იწყებენ შეტევაზე ფიქრს და მხოლოდ ძალთა უკიდურესი დაძაბვის წყალობით აღწევენ წარმატებას. ასე იყო ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ უკანასკნელ მატჩშიც, რომელშიც „ლივერპულმა" „ვულვერჰემპტონ უონდერერსს" უმასპინძლა. ანგარიში მე-16 წუთზე გახსნეს სტუმრებმა (ეტკინსონი). კარგა ხნის განმავლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს. მატჩის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როცა „ლივერპულის" დებიუტანტმა რონი უილანმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 84-ე წუთზე დალგლიშმა გამარჯვების გოლი გაიტანა — 2:1.

სპეციალისტები შიშობენ, რომ ასეთი ტაქტიკა კარგს ვერაფერს მოუტანს ლივერპულელებს ევროპული ტურნირების ოფიციალურ შეჯიბრებებში, მათ შორის მატჩში სუპერთასისთვის თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ.

დ. კაკაბაძე.

მოკლედ

ბადრაკი. იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვადრაკში დამთავრებულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა მოჭადრაკეებმა ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა იოსელიანმა წარმატებით იასპარეზეს, მათ 9,5-9,5 ქულა დააგროვეს და პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს.

თავისუფალი ჭიდაობა. ოდესაში სსრ კავშირის ნაკრებმა უმასპინძლა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 9:0.

ნ. კ. ლაჭყეპიანი

საბჭოთა აგრარულ-ეკონომიკურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — 87 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ლაჭყეპიანი.

ნ. ლაჭყეპიანი მიეკუთვნება სახელოვან მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და სოფლის მეურნეობის ეკონომისტებისა და აღრიცხვის დარგის სპეციალისტების მომზადებას.

ნ. ლაჭყეპიანი დაიბადა 1895 წელს ქუთაისში, რკინიგზელის ოჯახში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1915-1919 წლებში სწავლობდა მოსკოვის კომერციის ინსტიტუტში. სწავლის პარალელურად მუშაობდა.

1920-1931 წლებში ნ. ლაჭყეპიანი მუშაობდა საქართველოს ცეკავშირის და „სოფლის კავშირის" სისტემაში ჯერ ინსტრუქტორად და შემდეგ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსად. ამავე პერიოდში იგი პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ამიერკავკასიის „სოფლის კავშირის" უმაღლეს კოოპერაციულ კურსებზე და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

1931 წლიდან ნ. ლაჭყეპიანის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაკავშირებული იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან და უშურველად ემსახურებოდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების და მეცნიერ-პედაგოგთა კადრების მომზადების საქმეს.

სხვადასხვა დროს ნ. ლაჭყეპიანი მუშაობდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის დოცენტად, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაუსწრებელი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დარგში, აგროეკონომიკური და აგრონომიული ფაკულტეტების დეკანად.

ნ. ლაჭყეპიანის ინიციატივით 1961 წელს ჩამოყალიბდა სტატისტიკისა და საბუღალტრო აღრიცხვის კათედრა, რომელსაც მთელი ოცი წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა.

დიდია ნ. ლაჭყეპიანის დამსახურება საბჭოთა აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და კადრების აღზრდის საქმეში. იგი 60-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი ავტორობით რამდენჯერმე გამოიცა სახელმძღვანელოები სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკაში, მონოგრაფიები საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის და გაძღოლის პრობლემებზე.

პროფესორი ნ. ლაჭყეპიანი გამოირჩეოდა როგორც უმაღლეს სკოლაში სწავლების თვალსაჩინო ორგანიზატორი, ერუდირებული მეცნიერ-პედაგოგი და ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი. იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პროფესორ ნ. ლაჭყეპიანის ღვაწლი ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. უმაღლესი განათლების კადრების მომზადებასა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში დიდი დამსახურებისათვის იგი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

ნ. ლაჭყეპიანის ნათელი ხსოვნა მარადჟამს დარჩება მისი აღზრდილებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, აპარატის პარტიული კომიტეტი და ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილების უფროსი რეფერენტი, სოციალისტური შრომის გმირი, ოთხგზის ლენინის ორდენოსანი

ვასილ ვლადიმერის ძე სიხარულიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.

380096, თბილისი-96.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-56-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25.82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური ფესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09046 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20